თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 01-13-64721-24
14 / 11 / 2024

შპს "კარკასი"-ს წარმომადგენელს
ლევან სიხარულიძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის №01-13-64721-24 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ჩარგალის ქუჩა №79-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.12.04.001.030) არსებული შენობის სადემონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ფიქსირდება შპს „თბილისი ენერჯი"-ს კუთვნილი გაუქმებული მიწისქვეშა D=500 მმ-იანი მაღალი წნევის მილსადენი.

შპს ,,თბილისი ენერჯი" არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ არსებული შენობის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების ნებართვა.

აქვე გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს უმოქმედო მილსადენთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება. მიწის სამუშაოების ჩატარების პროცესში მილსადენის ღერძის გამოჩენისას უნდა აცნობოთ შპს „თბილისი ენერჯი"-ს, რათა კომპანიამ მოახდინოს აღნიშნული მილის უსაფრთხო დემონტაჟი.

შეთანხმება ძალაშია **6 (ექვსი)** თვის ვადით.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

შპს "მაგთიკომი"
№ ED-24/07/10-008
10-07-2024 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,კარკასი”-ს დირექტორს ბატონ
საბა სიხარულიძეს (ს/ნ 430029015)

ბატონო საბა,

თქვენი 2024 წლის 8 ივლისის წერილს პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოცემულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ჩარგალის ქ. #79 და მის მიმდებარედ, ს.კ. 01.12.04.001.030; 01.12.04.001.076; 01.12.04.001.252; 01.12.04.001.155; 01.12.04.001.154; 01.12.04.001.082) არ გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და არ ვართ წინააღმდეგი შესრულდეს დაგეგმილი სამუშაოები.

შემსრულებელი: ზვიად ოქროპირიძე. ტ: 500 501 501

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ./ Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge

დოკუმენტის ნომერი: 240710009

Classification: MAGTICOM Confidential

სილქნეტი
SILKNET

№ 4103/24-8

" 15 " 07 2024

შპს „კარკასი“-ს წარმომადგენელს
ბატონ ლევან სიხარულიძეს
ქ. თბილისი, ს. ცინცაძის #45ა, ბ-16
ტელ: 574170888

ბატონო ლევან,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-6646; 09/07/2024წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. #79-ში, მიწის ნაკვეთებიდან ს. კოდით 01.12.04.001.030; 01.12.04.001.076; 01.12.04.001.252; 01.12.14.001.155; 01.12.14.001.154; 01.12.04.001.082 სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა შემყვანი არხი შედის 01.12.04.001.030 საკადასტრო ერთეულზე, რომელსაც გაწვდით თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში. წარმოდგენილი გენ-გეგმის თანახმად სს „სილქნეტის“ კომუნიკაცია და საპროექტო შენობა არ მოდის კვეთაში ერთმანეთთან. სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მრავალბინიანი საცხოვრებელი 2 ბლოკის მშენებლობა, წარმოდგენილ გენ-გეგმაში საპროექტო შენობის ადგილის გათვალისწინებით და ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის“ კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის“ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ირაკლი აბაშიძე